ოქმი:**ო03.37210471**

თარიღი:**16/02/2021**

ოქმი № 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2021 წელი, 12თებერვალი

ქ.ოზურგეთი

13.00-13.30 საათი

თავმჯდომარეობდა: გ.ჩაგანავა - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვ.ბერიძე, ალ.ღლონტი, გ.ჩავლეშვილი, მ.ბერიძე, ბ.თოიძე, ტ.აროშიძე, გ.ჩავლეშვილი, გ.მდინარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულბის მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი ჩაგანავა

სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩაგანავამ მოკლედ ისაუბრა მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულბის მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“, აღნიშნა, რომ წინა წელთან შედარებით შეტანილია მცირეოდენი შენიშვნები, დაშვებულია ერთი შეცდომა - „ქალაქის შუალედურ ზონაში- 1,1“ ნაცვლად უნდა ჩაიწეროს „1,0“. ამ შენიშვნით კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - დადგენილების პროექტი: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულბის მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ წარდგენილ იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

გიორგი ჩაგანავა

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/